

1971

ՀԱՅԿՍՏԱՆԻ  
ՅԵՆՏՐՈՒԹՅՈՒՆ



ՀՈՄԵՇԱՆ 12 1971



სივრცე  
შავსკრიანი

ფოტო  
პ. კანკაბინიძის

# ახალ სკოლაში



მირამ რაჭვის სახარე გულღასმით იცნობს კომუნარული  
ბარსრუტის სემესს.



## JAMENA

12

დაქვეყნარი  
1971

საქართველოს ახალი დემოკრატიული  
კომუნისტური და ს. ს. ლენინის სახელობის  
ფრანკ კომუნისტური რეპრესირებული  
ახალგაზრდა სახარე უფროსი რედაქციის  
საქართველო თბილისი

გამომცემის 1926 წლიდან

საქ. კვ. მ. მ. მ.



გამომცემლობა

ჩვენს დედაქალაქს ამ ექვსი-შვი-  
დი წლის წინათ ახალი, ლამაზი უბა-  
ნი შეემატა. ეს უბანი თბილისის  
წიგნიპირას არის გაშენებული და  
მას ელმავალსაშენებელი ქარხნის  
დასახლება შევია. ხუთ, რვა, ცხრა-  
სართულიან საცხოვრებელ სახლებ-  
ში ათასობით ოჯახმა იზიგმა ახალ-  
მოსახლეობა.

რა სჯობს ახალ, კეთილმოწყობილ  
ბინაში ცხოვრებას, მაგრამ პირველ  
ხანებში, ცოტა არ იყოს, უპირდათ  
აქ ახალგადაშენებულ მოსწავლეებს.  
ისინი ხომ თბილისის სხვადასხვა  
რაიონიდან გადმოსახლდნენ აქ, ხო-  
ლო შეჩვეული გარემოს, სკოლის  
ამხანაგებისაგან მოწყვეტა არც ისე  
იოლი გახლავთ. თუმცა ერთხანს  
ბევრ მათგანს კვლავ მშობლიურ


სკოლაში მოუწია სიარული: დასახ-  
ლებაში ერთ-ორ წელს ჯერ კიდევ  
არ იყო სკოლები.

მაგრამ, აი, ამ უბანშიც დაიწყო-  
ლა სკოლის ზარმა — ჯერ ერთ, მე-  
რე მეორე, მერე მესამე სკოლაში...  
ერთ-ერთი ამ სკოლათაგანია 148-ე  
საშუალო სკოლა.

აქ სულ რაღაც მეოთხე წელია,  
რაც მოსწავლეების უციელ-ხივილი  
გაისმის. მხოლოდ ოთხი წლისა ხდო-  
ბა ამ სკოლის ნიკოლოზ ბარათაშვი-  
ლის სახელობის პიონერული რაზ-  
მული, და მაინც აქვს მას ცოტაო-  
დენი სალაპარაკო თავის საქმიანო-  
ბაზე...

აბა, მოვუსმინოთ.

ლია ციციქოშვილი — უფ-  
როსი პიონერებელმწოდენელი.



58511

— ჩვენი რაზმეული განსაკუთრებული მონღომებით ემზადება პიონერის 50-ე წლისთავის შესახვედრად. გვიანდა სწავლაშიც და შრომაშიც სასახელილო წარმატებით შევხვდეთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. ჩვენს რაზმეულში გატკოვლებულ პიონერებსი გამოიწვია საჯარო პიონერულმა მარშმა — „შეღა ვართ“

რმატებას. სწორედ ამიტომ, ჩავებით თუ არა რაზმთა შორის შეჯიბრებაში, მთავარ საზრუნავად დავისახეთ: „არც ერთი ოროსანი ჩვენს შორის!“ რასაკვირველია, მართო სურვილი საქმეს ვერ შევლის, თუ მისი განხორციელებისთვის ყველაფერი არ იღონე. ჩვენი რაზმის წარჩინებულმა პიონერებმაც ყველაფერი იღონეს.

ოქტომბრებთან. უმცროს მეგობრებს ზღაპრებს, ლექსებს, მოთხრობებს უყითხვენ, სიმღერებს ასწავლიან და ლაშქარი ფეხდაფეხად, ლიწო და ლაშქარში, მარნე მისარაგდელი, ლია ლოსამდე, ლია მიქელაძე, ასმთ გოჩაშვილი, ვენერა ავსაჯანიშვილი და სხვები. ისინი პატარბისთვის საბავშვო დღეებს აწყობენ, ამაზედენ პიონერთა რიგებში შესასვლელად.

**გაიოზ ბუაძე (მეცხრე რაზმი):**

— ქეთევანმა მხოლოდ სწავლაში მოკლებულ მიღწევებზე ილაპარაკა. მე კი ჩვენი რაზმის სხვა მუშაობაზეც მინდა იზიოდე სიტყვით გაამბოთ.

გულთბილი მეგობრობა დავამყარეთ ლენინგრაბის 113-ე საშუალო სკოლის პიონერებთან. ლენინგრადი ხომ რევოლუციის აკვანი, დიდი ლენინის ქალაქია. ერთმანეთს ვწერთ ჩვენს საქმიანობაზე, იმაზე, თუ როგორ ვეუფლებით ცოდნას. შრომითს ჩვევებს. ჩვენიც ვუჭავენით და ისინიც გვიჭავნიან შრომითი ქალაქების ხედებს, სამახსოვრო საჩუქრებს. ახლო მომავალში ალბათ პირადად გავიცნობთ ურთიერთს და კიდევ უფრო დავემგობრდებით.

ჩვენი რაზმი აქტიურად მონაწილეობს სკოლის ეზოსა და მის ახლო მდებარე ტერიტორიის დასუფთავებაში, ახალი ნარგავების მოვლა-პატრონობაში.

ქეთევანმა, შალვამ და გაიოზმა მხოლოდ თავიანთი რაზმების საქმიანობაზე ილაპარაკეს. ეს, ცხადია, ბუნებრივია.

მეგრამ რაზმეულის ცხოვრება მხოლოდ ჩამოთვლილი საქმიებით როდღე ამიოწურება.

ათასობით კლდოვარამი ქართი და მაკულატურა ჩაბარა რაზმეულმა სახელმწიფოს; თავისი ალბიწი წვლილი შეაქვს ჩუკოტკელ პიონერთათვის სასახლის აშენებაშიც.

გაკეთილების შემდეგ ხშირად აწყობს რეიდებს მიკროკოინებში სანიტარული წესრიგის დასაცავად. გაკეთებს მშენიერი სტენდი: „მეცხრე ხუთწლიანი მოქმედებაში“.

აქ არტუო ივიკოთად ატარებენ პოეზიის საღამოებს; სტუმრები იქმენ ცნობილ ქართველ პოეტებს, ხელოვნების მოღვაწეებს, შრომის გამოჩენებს... ამას წინათ რუსთავის მებრძოლურგაიულ ქარხანას ეწვივნენ, საკუთარი თვლით იხილეს სახელმწიფე



მის იძის, იანმა ეს ნორჩი ფრანგურთელები დიდ საბრძოლავს გამოვიდნენ ოლასმა...

რაზმებს შორის გაიშალა შეჯიბრება მარჩვენა ფლანგზე დგომის უფლებისათვის. ამის უფლება კი ხომ მხოლოდ მას აქვს, ვინც წარმატებით გაივლის პიონერული მარშის მთელ მარშრუტს. შეჯიბრებამ სასიხარულო შედეგი მოგვცა. თუმცა სკოლის ამაზე თვითონ მარჩვენა ფლანგელებმა ილაპარაკონ.

**ქეთევან ქუთათელიაძე (მეცხრე რაზმი):**

— პიონერის უპირველესი მოვალეობა კარგი სწავლა, თუ კარგად არა სწავლობ, ცხადია, ვერც სხვა საქმიანობაში მიადრწე შესამჩნევ წა-


მანანა ქანკვეტაძე, დავით ჯანდიერი, ამირან ტორონჯაძე, გია გოშაძე და სხვები დაუშარებლად ეხმარებოდნენ თანაკლასელებს, რომლებიც ამა თუ იმ სავაჭარო მოისუსტებდნენ. საბოლოოდ, ჩვენი დღეისი განხორციელდა — რაზმში ოროსანს, რომ იტყვიან, სანთითაც ვერ მოძებნით. სკოლის დირექციამ ჩვენი რაზმი საპატო სიგელით დააჯილდოვა და თასიც გადასცა.

**შალვა ჭოლოკავა (მეექვსე რაზმი):**

— სწავლაში არც ჩვენი რაზმი ჩამორჩება სხვებს. ისიც დაჯილდოვდა დირექციის საპატო სიგელით. არაფერს ვიტყვი ჩემი თანაკლასელების სასარგებლო პიონერულ საქმიანობაზე, ის კი არ შემიძლია არა ვთქვა, თუ რა გულთბილი მეგობრობა აქვთ



ტანაბუნდელთა  
კამპრობას  
გამრი  
გულშემატარება  
მონაპოს  
გულშემატარება  
გემორაბინათვის.



ჭელ მეფულადეთა მამაცური შრომა. შემიდგ ფიზიკის ინსტიტუტს ესტუმრნენ, სადაც გამოჩენილია მეცნიერებმა ბევრი რამ საინტერესო უამბეს მათ. ლენინგრადელთა გარდა, მცხეთელ, უკრაინელ, მოსკოველ თანატოლებთანაც შეგობრობენ, რითაც პიონერული საქმიანობის გამოცდილებასაც იმდებდნენ.

ქემოკლიძე, მზია ქოქოსაძე — მორბენალზე, ტანმოვარჯიშე ნანა ფოცხვილზე, მოჭადრეკე მერი მოთაშვილზე, მძლეოსან თინა ბერაძეზე, ნორა ფეხბურთელებზე, ფრენბურთელებზე, ხელბურთელებზე... ტურისტულ საქალაქო შეჯიბრებაში სკოლის პიონერული ასაკის

გუნდმა წლეულს მ-კერ დიკავა პირველი ადგილი. ნორა სპორტისმოყვარულთათვის გამოცდილი მწვრთნელები არიან მოწვეული და ისინიც ხალისით მუშაობენ ნიჭიერ ბავშვებთან.

ამ სკოლის მოსწავლე სპორტსმენებს შევობას უწევს საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზმებული სპორტული სკოლა. იგი ამბარაგებს მათ ინვენტარით, სპორტული ფორმის ტანსაცმლით.

რაც შეეხება ზემოხსენებულ სპორტულ კომპლექსს, მისი კარები მუდამ ღიაა 148-ე სკოლელთათვის.

ნ. ბარათაშვილის სახელობის პიონერული რაზმული აწყობის, რომ მის რიგებში ბევრი პერსპექტიული ნორჩი სპორტსმენი იზრდება.

თბილისის 148-ე საშუალო სკოლის შენობა თავს დაჰყარება მოზარდთა ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის კობცა მოედნებს. ეს სპორტული კომპლექსი ორიოდე წლის წინათ საზეიმოდ გაიხსნა აქ და იგი სანიმუშოა მთელ დედაქალაქში.

უნებლით გაიფიქრებ: არ შეიძლება ამ მშვენიერი სპორტული ბაზის მასუბრებელ ბავშვებში განსაკუთრებულად არ გაღვივდეს ღტოლვა სპორტის ამ თუ იმ სახეობისაკენ. და ეს ასეც ვახსოვებ.

ფიზკულტურის დარბაზის ერთერთ კუთხესთან გაჭრილ კარებში რომ შეხვდეთ, თვალთა აგჭრელდებოდა: პატარა ოთახის კედლები სიგელეებით არის დაფარული.

ფიზკულტურის მოსწავლეები გიორგი ხიდუშელი სიყვარულით გვესაუბრება თავის აღსაზრდელებზე ნელი ქვეანიშვილზე, რომელიც თითქმის ხუთ მეტრამდე ხტება, ბალროს და ბირთვის მტყორცნელ ვიპ



ახლოვდება ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერთა ორგანიზაციის 50-ე წლისთავი.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა პიონერული რაზმული გაცხოველებით ემზადება იუბილეს შესახვედრად.

გვწამს, რომ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ახალი წარმატებებით ხელდაშვენიებული შედეგებიან თბილისის 148-ე საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეებიც.

მუხრანის მარკალაშვილი შაჟიბაბაის იმთ-ამით მოყვანილი.

# უძველესი



მხატვარი  
თამაზ ხუციშვილი

წამბარ  
აშხაზავა

# კოსმონავტი

## ფანტასტიკური მოთხრობა

კოსმონავტი კვდებოდა.  
ყოველ ამოსუნთქვისას სიცოცხლის ნაწილი მიჰკონდა.

მომავლადი ალბათ ტრიგლის აღარ გრძნობდა — სახეზე უაღრესად მშველი გამომეტყველება შერჩენოდა და საყვებით ნათელი მზერა იმ ერთადერთი ვიწრო ხეჩრლისათვის მიეპყრო, საიდანაც ამ სტრალაქტიკებთან გამოქაბულში დღის ნათელი აღწყვედა. უღონოდ დაფარდნილი მარჯვენა ხელით ლაზერონის ტარი ეჭირა.

შემოსასვლელი ხეჩრლის პირდაპირ იღუმალი ცისფერი შუქით განათებული დარბაზი ჩანდა. ამ ხუთიოდ წუთის წინათ სტრალაქტიკებთან გამოქაბულსა და ცისფერ დარბაზს ერთმანეთისაგან ნახეჩრად გამიჯრავალე მაღაქტისფერი ჩიღლი ჰყოფდა. დინტერესებულმა კოსმონავტმა მისი სიმტკიცე ლაზერონის სხივით მოისინჯა და იმ წამსვე საშინელი აფეთქების ხმამ გააყრუა, შეკუმშული ჰაერის მელაგრმა ტალღამ ათიოდ ნაბიჯზე გადასტროფინა და თავს დიდი და პატარა ლაზერონის ხეჩრე დაატეხა.

ზაზა შორს არ იყო, შევიული კლნის ძირას იდგა და მინერალებით გატენილ ჩანთაში ახალ, ფერად-ფერად ნამსხვრევებს აწყობდა. აფეთქების ყრფ გუშუნი მათაც მოეცმა. ჩანთა მისწვლი და გამოქაბულს მიუშურა.

კოსმონავტი კვდებოდა.  
მან მშველი, ნათელი მზერა მიიპყრო მიტს და ტურჩები შეუფრთხილდა.  
— ზაზა... — მომავლადის ალბათ ამ სახელის ხმამალდა თქმა სურდა. მავრამ ჩურჩული გამოყოფიდა, ისე ხმადაბალი ჩურჩული, რომ თავდაცაც არ გაუფანტა. იმავე წამს გრძნობა დაიკარგა.

— მასწავლებელი, ნუფო მოკვდა?  
— თამარს თვალღებში (ორმოლი ჩასდგომოდა.

— სსს, ჩემდა! — ხმადაბლა დატუქსეს აქეთ-იქიდან.  
მასწავლებელმა განაგრძო.

ზაზამ იგორს ჭრილობები გაუხუფეთავა და საფენები დააღო, იგორი გონს მოვიდა. ზაზამ ფრთხილად მოსწმინდა შებლზე გამოყოფილი სისხლი.

კოსმონავტმა გაღივება სცადა, მაგრამ მხოლოდ ტურჩები შეუფრთხილდა.

— ძია იგორ, რა უნდა გქნათ?  
იგორმა თვალები დახუჭა. შესაძლელია შევითხვის აზრმა მის გონებამდე ვერც კი მიადღწია. ზაზამ ეს იგრძნო, მაგრამ არ შემდრკალა. შეიძლება იმიტომაც არ შედრკა, რომ მყისვე მიხვდა — ახლა ყველაფერი მხოლოდ მასზე, ზაზაზე იყო დამოკიდებული. ბიჭი დაფიქრდა და იღვის უსწრაფესად შეაფასა მდგომარეობის სირთულე. გოლიათი იგორის მოღუფებულ უსიცოცხლო სხეულს ვერც ხვრულამდე აიტანდა და ვერც იმ ვიწრო ხეჩრელში გაატარებდა. თანაც მათს მზვერავ რაეიტამდე ორი ათას ნაბიჯზე მეტი მანძილი იდო... ამასთან, ფიქრაც კი არ ღირდა ხომალდთან დაკავშირებაზე; ხომალდი ახლა პლანეტის ჩრდილოდან მხარეს იმყოფებოდა, პროქსიმას აკიერდებოდა და კავშირისათვის ხელსაყრელ წერტილში მხოლოდ შიდი-რვა საათის შემდეგ გამოვიდოდა.

რა ტულად თუწყო ყველაფერი!  
რა სულელურად მოეჭინა ჩიხში!

— მასწავლებელი, რამდენი წლისა იყო მაშინ ზაზა? — ხელი ასწვია და იკითხა გვიგამ.

— ზაზას სწორედ იმ ხანებში შეუსრულდა თორბეტი წელი. — მასწავლებელი გვიცის მერხთან შეჩერდა. — მისი დაბადების დღე იკიპავმა დღის ამბით აღნიშნა. ეს დღე დედამიწიდან მათი გამოფრენის მესამე წლისთავს დაემთხვა. იმ სამი წლის განმავლობაში კი დედამიწაზე თითქმის შევიდა წელმა ჩიართა. — თუშუცა მასწავლებელი დარწმუნებულად იყო, რომ სამყაროს რუკა და დროის პარადოქსი\* არის XXII საუკუნის.

ყველა მოსწავლემ იცოდა, მინც განმარტა: — მასწავლებელი იცოდა, რომ ცენტავრის თანავარსკვლავედი ორი ძირითადი ვარსკვლავისაგან შედგება. მათი შორეული თანამგზავრი, კენტავრის პროქსიმა, ჩიენი შვის უახლოესი მეზობელია. ამ ვარსკვლავს თერთმეტი პლანეტისაგან შედგენილი სისტემა გააჩნია. დედამიწის ექსპედიციამ კვლევას საგნად პროქსიმას პირველი თანამგზავრი აირჩია, რადგან, წინასწარი მონაცემების მიხედვით, მისი პარამეტრები ძალზე უახლოვედმა დედამიწისას.

— ეს ყველაფერი კავობრიობამ ჩერ კიდევ მეოცე საუკუნის ბოლოს იცოდა, — გადუჩურჩულა გოჩამ მეზობელს.

მასწავლებელმა ყური მოჰკრა, მიბრუნდა და გოჩას გაუღვიძა.

\* პარადოქსი — არაკავლებობი, მოულოდნელი, უცნაური.

— ღიბ, ჩემო გოჩა, მეოცე საუკუნე კეშმარტად ღიბი საუკუნე იყო. ეს იყო ციოლოგის, აინშტაინის, გაგარინის საუკუნე, ტექნიკისა და მეცნიერების ნახრომისებური განვითარების, ფანტასტიკური წინასწარგანჭვრეტათა საუკუნე. სწორედ მეოცე საუკუნის ბოლოს ექსპერიმენტულად დამტკიცდა დროის პარადოქსის არსებობა. თქვენ იცით, რომ, თუ კოსმოსური ხომალდი მოძრაობს სიჩქარით, რომელიც სინათლის სიჩქარეს — წამში 300 000 კილომეტრს უახლოვდება, ხომალდის ეკიპაჟისთვის დრო გაცილებით ნელა გადის, ვიდრე მათთვის, ვინც დედამიწაზე დარჩა. მაგალითად, თუ ხომალდის სიჩქარე სინათლის სიჩქარის ოთხმოცდაათხუთმეტი პრო-

— მერე, მასწავლებლო? რა დამართათ იგორს და ზაზას? — მორიდებით შეახსენა გვიემ.

— კოსმოსში გატარებულ სამ წელს ამაოდ არ ჩაუვლია და ზაზამ ახლა გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე ნებისმიერმა მისმა თანატოლმა დედამიწაზე.

ზაზას ხომალდის ეკიპაჟის სრულუფლებიან წევრად თვლიდნენ. მია იგორს არაერთხელ შეუხსენებია, რომ იგი მამის მავიერია (მამა სტარტიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ღია კოსმოსში მუშაობის დროს დაიღუპა) და მამის მოვალეობის შესრულება მას ეცისებოდა. ზაზამ მისი ასაკის ბიჭისთვის უჩვეულო უნარი და მონღოლმა გემოინახა და ორიოდ წელიწადში ისეთ წარმატებებს

გვერდით ვარსკვლავითი მოგზაურობით გამობრძანებული კოსმონავტი დგას, ხოლო სულ სხვაგვარად მით მარტო დარჩე უკაცრიელ უდაბურ პლანეტაზე და მთელი პასუხისმგებლობა მარტომ იკისრო, ისიც მაშინ, როცა უფროსი მეგობრისა და მასწავლებლის სიციცხლე ბეწვზე ჰკიდა...

ზაზა ახლა მარტოა იყო უკაცრიელი და იდუმალი პლანეტის წინაშე...

არსებობდა იგორის გადარჩენის ერთადერთი გზა და უმცირესმა კოსმონავტმა სწორედ ის ერთადერთი გზა აირჩია. ზაზამ დეკრიოს ნეიტროკრამინის დიდი დოზა შეეშაპუნა. კოსმონავტმა სუნთქვა შეუწყვიტა. ზაზას მისი მაჯა ეჭირა და, როცა



ცენტს შეადგენს, მაშინ ეკიპაჟის ერთწლიანი მოგზაურობის დროს დედამიწაზე ორი წელი და ცხრა თვე გაივლის. ამტკობაც მოხდა, რომ კოსმოსში ზაზას ფრენის სამ წელიწადში დედამიწაზე შეიღმა წელია გაიარა.

მიიღწია, რომ ხომალდის მეთაურმა მომავალი ექსპედიციის უცილობელ კანდიდატად შერაცხა და შორეული ნაოსნობის კაპიტნობა უჩინასწარმეტყველა.

მაგარი ერთია ხომალდის სამართავ პულტთან მუშაობა, როცა შენს

იგორის ისედაც სუსტი მაჯისცემა ფრულდ დაიკარგა, ბიჭმა ხელი მოთხილად დასცენა უსიციოცლო სხეულის გვერდით და შეეშაპუნა უფლ ხერხეულში გაძვრა. ხენიტში უახლოესი მზე, პროქსიმა ბეტელჯედა, ხოლო დასაუღეთით

ცავე კიდევ ორი ფერმერთალი მნათობი ეკიდა.

ულრანი ტყის პირას მზიერავე რაკეტის ნაერისფერი, სივარისებური ტანი ლაღლაპებდა. ტყის მიღმა გაღვიძილ მთავრებელზე რამდენიმე მუკანი ხჩილოვდა.

სირბილში ზაზამ უცნაური ფინიკელი წამოაფრთხო, რომელიც ხვლიკის თავ-კისერი ჰქონდა, მაგრამ ბიჭს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. სამაგიეროდ, იკიბა მორიგელი, რომელიც ზედ ოვალური კარის სახებურზე მოკალათებულიყო, ულტრაბგერულ დამზახით ჩამოავლდა და რაკეტაში შევარდა.

სამართავ პულტზე ყველა წარწერას და ლილაკ საკუთარი ხელის-ველივით იტყობდა, მაგრამ ციფერ-მლატებითა და ინდიკატორებით აჭრელბულ დაფას რომ მიიჭდა, ცოტა არ იყოს, ფერი ეცვალა.

საკლასო ოთახში გარედან შორეული მძლავრი გრუხუნი შემოიჭრა. მასწავლებლებმა წამით ფახვარა მიხურა მერე, გრუხუნი რომ მიჰყდა, ისევ გამალო და განჯარბო.

ზაზამ წარმოიდგინა, თითქოს იგორის წინასასტარტო სამზადის უთვალთვალდება და მის ამ ყოველ წარმოსახვით მოძრაობას თანმიმდევრულად იმეორებდა. ჭერ რადიო-ფონების მდგომარეობა და რაკეტის პერმეტულობა შეამოწმა. მერე ანტენები შეეცა და სასარკოან დომკრატთა ასაწევი ლილაკ დააწეა. ხმა-დაბალ შიშინს დააყურა. რაკეტა ნელა წამოიშარათა, აჟია და შორიან გიგანტურ რვაფიხას დემს-დაჟსა.


ზაზა ერთ წაბს დაიჭიკრებული, გულხელდაკრფილი იქდა. მერე ღრმად ამოისუნთქა და სასტარტო ლილაკს თითი დააჭირა.

მცირე ხნით მძლავრმა გუგუნმა გააურთა. რაკეტა ანახარდა. ზედასახურმა ძილად ზაზა სივარისის ზურგს მიაკრა, მაგრამ გრძნობა არ დაუტოვავს. თუცა გადატვირთვა რამდენჯერმე აღემატებოდა ჩვეულებრივს. ორიოდე წუთის შემდეგ, როცა ავტომატმა რეაქტორი გამოართო და ჭოჯხებუერი სიმძიმი გაქრა, ზაზამ ანტენები გაშალა და „კავკასია“ გამოიძახა.

საბუნდოვოდ, ხომალდმა მაშინვე უშასუხა. პულტის მოპირდაპირე ქედლზე დიდი ოვალური ეკრანი აციციმდა. ზაზამ რეაქულატორი მოაბრუნა.

— „კავკასია“, „კავკასია“... მე „თოლია“ ვარ, მე „თოლია“ ვარ, „თოლია“ ეძახის „კავკასიას“...  
— მე „კავკასია“ ვარ... ზედღვე-  
ოვალურ ეკრანზე მყოფი მამა-  
კაცის მკაერი, ენერგული სახე გა-  
მოიქცემა. მამაკაცი ნიათრევი შემ-  
ღღა და გამკოლი მზერა ჰქონდა.  
— ზაზა? იგორი სად არის? რა მოხდა?

აპირებდა, მაგრამ უტეც მის გვერ-  
დით მთავარი მტურმანის თავი გა-  
მოჩნდა. მტურმანი სულ სხვა ტემ-  
პერამენტის კაცი გახლდათ და, მე-  
თაურისაგან განსხვავებით, მთელ რ-  
შეში და მგელვარება კითხვ თვა-  
ლებში და სახეზე იჭერა.  
— ზაზა! — მტურმანი ყვირობდა,  
კაცი ვერ გაიგებდა, გაჯარებულყო  
იყო თუ შეშინებული, — დროა ორ-  
ბიტულ ფრენაზე გადახვიდი, გეს-



ზაზამ სცადა მტკიცე და დამოუ-  
კიდებელი კილთით ელაპარაკა:  
— მეთაურო, უმჯობესი კომპო-  
ნაგეტი ზაზა მოგახსენებთ.  
კომპონაგეტი იგორი მძიმე დიპო-  
რა გაუთვალისწინებელი აფეთქების  
შედგდა. აუცილებელია სასწრაფო  
დახმარება...  
მეთაურს თვალი არ დაუხამა-  
მებია.  
— კოორდინატები... სასწრაფოდ!  
— მეცხრე სექტორი, კვადრანტი  
აღდა. მოედანი, სადაც „თოლია“  
იქდა, სავსებით ვარგისია „კავკასი-  
ის“ დასაშვებად. იგორი გამოქე-  
ბულში წევს, მოედნიდან დაახლოე-  
ბით ათას ხუთასი მეტრის დაშორე-  
ბით, სამხრეთის მიმართულებით, შე-  
სასკელოდ სამი მაღალი ხის მხრიდა-  
ნაა. ადვილი საპოვნელია.  
მეთაური ისევ რაღაცის თქმას

მის?... ჩართე მარცხენა რეაქტორი...  
მარცხენა რეაქტორი... ჩართე, რას  
უტედი, დალახვროს ეშმაკამ!  
ზაზამ ოღონდ დახებულად გაილიბა.  
— ზაზა! — მშვიდი, მტკიცე ხნით  
თქვა მეთაურმა. — მარცხენა რეაქ-  
ტორის ლილაკი სასტარტო ლილაკის  
გვერდითაა, შენგან მარცხნივ... შენ-  
გან მარცხნივ...  
ზაზამ მეთაურს მზერა გაუსწორა.  
— ვიცი, ძია ალექსანდრი, მაგრამ  
არც ერთი მობრუნების რეაქტორი  
არ მუშაობს. პლანეტაზე დაშვები-  
სას ორივე გაფუძლი. უთქვენილ  
აფრინას არ გააბრებდი, უხედუ-  
რება რომ არ მომხდარიყო, შენ  
უნდა დაგლოდებოდი. ძია ალექ-  
სანდრი, იგორი ანაბიოზში\* დატე-

\* ანაბიოზი — სასიცოცხლო პროცესის  
დროებითი შენელება ან შეწყვეტა.

ვე... დრო გადის, სსსრკო მიშვე-  
ლება საჭირო...

შტურმანის სახე გერანზე აღარ  
ჩანდა, მაგრამ მისი ყვირილი ჭერ  
კიდევ ისმოდა:

— ზაზა! ბიჭო, ზაზა!..

მეთაურს აღუვება არ დასტყო-

ბია.  
— ზაზა, შენი რაკეტის გიზი პრო-  
ქსიმდასკენა მიმართული. — მეთა-  
ურმა საათს დახედა. — სამი საათის  
შემდეგ „კავკასია“ პლანეტაზე დაე-  
შვება. ორიოდე საათს იქ დავეყოფ-  
დებით. ამასობაში შენი რაკეტა  
პლანეტას საქმავოდ დიდი მანძილით  
დაშორდება და, ამრიგად, იმის ძალ-  
ზე მცირე მანძილს არაკბობს, რომ  
„კავკასია“ „თოლის“ წამოეწევა, გა-  
მძვინვანება, ზაზა?

ზაზამ დამანაშველსავით გაიღიმა და  
შუბლზე ჩამოშლილი თმა მარჯვენა  
ხელის ცერით შეისწორა. ზუსტად  
ისე, როგორც მამამისს სჩვეოდა.  
— მე ეს ვიცოდ, მეთაურო, სა-  
ნამ პლანეტამ დავტრაივბდი, მანამდე  
ვიცოდი...

მეთაურის მკაცრი სახე რაღაც  
შუქმა გაანათა. მზერა აღერსიანი  
გულხდა. ზაზა განკვირდა — ეგრე-  
ხილდა ახლა სულ სხვა ადამიანი შე-  
პყურებდა.

— მამაშენის შვილი სხვაგვარად  
ვერც მოიქცეოდა, — მეთაურს ლა-  
პარაჟი უჭირდა და ამირობდა სიტყ-  
ვებს ნელა და მკვეთრად გამოთქვამ-  
და. — მამაშენის შვილს ვერც  
ტყუილს ვეტყვი. შენ მამაკ ბიჭი  
ხარ და უნდა იცოდეს: თითქმის არ  
ასრებობს არავითარი მანძილი, რომ  
„კავკასია“ დაგეწევა...

— მე სმის, მეთაურო!

— მშვიდობით, ზაზა!

— მშვიდობით...

გერანზე მთავარი შტურმანის სახე  
გამოჩნდა. შტურმანი ტირიდა და  
ცრემლებს არ მალავდა.

— ზაზა, ჩემო კეთილო, ჩემო  
კარგო ბიჭო, ზაზა!

გერანზე გამოასახლებდა ჩაქრა.  
ილუმინატორიდან ჩანდა პროქსიმა,  
რომელსაც რამდენიმე კვირის შემე-  
დეგ ზაზა და მისი „თოლის“ უნდა  
ჩაენთქა.

საკლასო ოთახში გულამოსკენი-  
ლი, ბავშვური ქვითიბი გაისმა —  
თამარის ხაფთუქლებზე თითები მიე-  
კარა და თვალები ტირიდა, აშ-  
კარად ტირიდა, არაჟის გრიდებდა.  
და სხვა გოგონებიც იცრემლებოდი-  
ნენ. ბიჭებს თავი ჩაუქინებდა. გივი  
მერხის უჭრაში გაუაცვიციბთ ენებ-  
და რაღაცას.

გარედან, ლია ფანჯრიდან, ისევ  
შემოიჭრა კოსმოსური ხომალდის  
სტარტის შორეული გუგუნი. მასწავ-  
ლებლებს ამკერად ფანჯარა არ მიუ-  
ხურავს, კლასი მთავალივარა, გვი-  
ლინდა და, თვითონაც თვალაწყლიანე-  
ბულდა, თქვა:

— ბავშვებო, ერთი რამ დაიხსო-  
მეთ: გმირებს არ სტრიაინ. გარდა  
ამისა, ამბავი ჭერ არ დასრულებულა.  
მომისმინეთ, ახლა ამ ისტორიის  
ფინალს გაიზიზიბთ.

ბუნებაში სასწაულები არ არსე-  
ბობს. მაგრამ ადამიანთა გმირობა  
ზოგჯერ სასწაულის სიღაღიდმდე მა-  
ლდება ხოლმე.

კოსმოსურ ხომალდ „კავკასიას“  
მეთაურს ყოყმანი არ სჩვეოდა და  
შორეულ ვარსკვლავთსანობის კა-  
პიტანთა შორის სწორედ იმით იყო  
ცნობილი, რომ ყველაზე რთულ და  
ბუნდოვან ვითარებაში ზუსტად გაბე-  
ლულ გამოსავალს ელვის სისწრაფით  
პოულობდა.

ამჯერადაც ასე მოხდა.

„თოლის“ გარდა, რომელიც ახ-  
ლა პროქსიმასკენ მიჭრინავდა, „კა-  
ვკასიას“ კიდევ ერთი მომცრო საა-



ვარიო რაკეტა ჰქონდა, რომლის გა-  
მოყენებამ, ინსტრუქციით, ენაგულულ  
ვანსაკუთრებით საგანგაშო მომენტებში  
შეიძლებოდა, სახელწოდებით „კავ-  
კასიას“ კატასტროფის შემთხვევაში.  
თუ პლანეტაზე გიგანტური კოსმო-  
სური ხომალდის ნაკვალავს ეს პატა-  
რა საავარიო რაკეტა დაეშვებოდა.  
იგორის ვადარჩენას ორჯერ ნაკლებ  
და დრო დასჭირდებოდა. გარდა ამის-  
ა, „კავკასია“ ძვირფას ორბიტულ  
სინჩრასაც შეინარჩუნებდა...

ყველა მანევრის საოქარო სიზუს-  
ტით განხორციელდა. ხოლო როცა  
სავარიო რაკეტა, რომლის ერთ-  
ერთ კაიუტაში ექიმი თავს დასტრია-  
ლდა უშვებ განსწოვებულ იგორს.  
„კავკასიას“ შეუბრახარდა, ხომალ-  
დის ყველა სალონში კაპიტანის მტყო-  
ცე ხმა გაისმა:

— ისმინოს ყველამ! „კავკასია“  
მიეშვება „თოლისასკენ“! ოთხზე  
რეაქტორი ჩაირთოს სრული სიმ-  
ღავით! ანჯარება — მაქსიმალური!  
მზადყოფნა — ათი! ათი წამის შემე-  
დეგ — სტარტი ორბიტოვდან! ათი...  
რვა... ხუთი... ორი, ერთი, სტარტი!

ეს უშავალით დღევანდელი თითქმის  
რვა საათს ვაგრძელდა. მე რეე სან-  
თის მიწურულს ლოკატორები, ბო-  
ლოს და ბოლოს, მისწვდნენ „თო-  
ლისას“. ოვალურ ეკრანზე ზაზას რა-  
კეტის მოხაზულობა გამოიკვეთა თუ  
არა, მთავარი შტურმანი პულტს მო-  
შორდა და სინხარულს ცრემლებით  
ატირდა...

პროქსიმა კი ცეცხლის ვეება გო-  
რგალვით ბრღლივლიდა...

— მამასადამე, ზაზა გადარჩა, მას-  
წავლებელო?

— დიხს, გადარჩა... ახლა კი, ბავ-  
შვებო, მე მინდა ახალი ამხანაგი გა-  
ვაცნოთ, რომელიც საპატრიო მიზე-  
ზის ვაშო სწავლას რამდენიმე წლით  
ჩამორჩა. დღეიდან იგი თქვენს კლას-  
ში იმეკდინებას, შეიცვარეთ და პა-  
ტივი ეცით. ზაზა, ვფიქრობ, შენც  
მოგეწონება ახალი მეგობარი.

კუთხეში, ბოლო მერხთან მჯდარი.  
მზით გაურტულ ბიჭი წამოდგა და  
მორცხვად გაივიდა. ხოლო როცა  
შუბლზე ჩამოშლილი თმა მარჯვენა  
ხელის ცერით შეისწორა, ყველა მო-  
სწავლემ შენიშნა მის მკერდზე აჯი-  
დებული კოსმონავტის ნიშანი.

# აქატიანი და კოსმოსი



რამდენიმე ხნობრალ იღვას წარღვას, რომელთა ავტორებს აინტერესებთ, თუ რა სარგებლობა მოჰქვას ატომობრობისათვის კოსმოსის ათვისებას, ჩვენი შიშის სისტიმის უპასუხებლობის ახლს ვაპრობასა და შესწავლას.

ამ საკითხზე ვასაუბრებთ საპრობრობის ატომ-აეოლოგიური სარგებლობის წახედვილი წვდირი ვიოტრი კვირავილი.

ატომობრობა, ისევე როგორც სხვა მეცნიერებანი, აღმოცენდა სარგებლობის პრაქტიკული მოთხოვნილებების საფუძველზე. ჭერ კიდევ პირველიყოფილი მოთაბაზე ტომებს აუცილებლად ესაბიროებოდათ ორიენტირება (გზის-და მიმართულებების გაგნება) და მათ ისრავლეს მიმართულების განსაზღვრა მზისა და ვარსკვლავების მიხედვით. პირველიყოფილი მოქათმოქმედის მიხედვრის მამუშაობების ჩასატრებლად წინასწარი უნდა ვავთვალისწინებინა ცივი და თბილი ამინდების (წლის დროების) დიდგობა. აღმინანი დააკვირდა მნათობთა მოძრაობას და შეინძნა, რომ დროთა ცვლა დაკვეშირებულთა განსაზღვრული თანვარსკვლავების გამოჩენასთან.

აქე რომ, უძველესი დროიდანვე აღმინანი აკვირდებოდა ცას არა მარტო ცნობისმოყვარე თვლებით, არამედ მისი საქმიანობისათვის აუცილებელი მოვლენების დასადგენად. ასეთი დაკვირვებებიდან მას თანდათანობით გამოქმინდა მრავალი საინტერესო დასკვნა. მას შესწავლიბვერი საიდუმლოების გამოცნობა, ჭერ მხოლოდ შეუიარაღებელი თვლით დაკვირვებებიდან, შემდეგ ამისათვის გამოყენებულ იქნა დაწყებული უმარტრეკისი ჭოვრიდან გათავებული თანამდროვე ტელესკოპებით.

მაგრამ აღმინანი რაკ მეტეს სწავლობდა, მით უფრო მეტი ახალი და ახალი საინტერესო და გამოუცნობი ფაქტები გროვდებოდა, რომელთა გამოვლენასა და ძიებაში ანგნიითარდა თანამდროვე ატომობრობა.

სხვა დარგის მეცნიერებისაგან განსხვავებით, ატომობრობის არ ჭქონდათ საშუალება უშუალოდ შეხებოდნენ თავიანთი კვლევების ობიექტებს, მოხვდნითა ისეთივე ცლები, როგორსაც ახდენენ ფიზიკოსები, ქიმიკოსები, ბიოლოგები და ბოტანიკოსები თავიანთ ლაბორატორიაში, მაგრამ ასეთი სურვილი მარტო ატომობრობას როდი დებადათ, იგი აღმინანის გონებაში ღიდი ხანია არსებობდა.

ძნელთა იმის დადგენა, თუ რა დროიდან დაიწყო აღმინანი სხვა ზონებებზე ვაფრინის ოცნება, მაგრამ იმის მტკიცება კი ძალიან ადვილია, რომ 14 წლის წინათ ასეთი ოცნება ღიდი ფანტაზიად ითვლებოდა, ვინაიდან ამ ფანტაზიას მამინ არავითარი მატერიალური საფუძველი არ ჭქონდა. მას საფუძველი ჩაეყარა 1957 წლის 4 ოქტომბრის, როდესაც, პირველად კაცობრობის ისტორიაში, საპრობრობა მეცნიერებმა და ტექნიკოსებმა დაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. 14 წელი არეკი

გასული და ჩვენი უკვე მოწმენი ვართ მრავალი გრანდიოზული მიღწევისა კოსმოსის ათვისების საქმეში. ამ წლის განმავლობაში ტექნიკა ისე განვითარდა, რომ ახლა დედამიწის ვარშემო მოძრაობს სამეცნიერო სადგური, რომლის წონა 25 ტონაა, სიგრძე კი 20 მეტრი.

ატომობრობის უკვე შეუძლიათ შეეზონ თავიანთი კვლევითი ობიექტებს, ან ავტომატური სადგურებით დახვეწონ ამ ობიექტების ზედამირი.

ხშირად იბადება კითხვა: რა აუცილებლობას წარმოადგენს კოსმოსის ათვისება აღმინანისათვის?

ახლა ჩვენი არეკი ვიცით, როდის დაიწყო აღმინანი წყლის სივრცეების ათვისება, მაგრამ იმის წარმოდგენა კი ადვილია, თუ რა სარგებლობა მოუტანა აღმინანი ამ სივრცის ათვისებამ. შედარებით ახალია ატომოსფეროს დიდი მოვლენების ათვისების ამბები, მაგრამ აქაც ხათვლია, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს კაცობრობისათვის თანამდროვე საფრენი აპარატებს. მე გეგინ, ადვილი მისხვედრია, რომ, როგორც პირველი მავის გამომოგონებელ პირველიყოფილი აღმინანს, ასევე, თითქმის ჩვენი თანამდროვეს, ვინც პირველი თვითმფრინავი შექმნა, არ შეუძლია ვწინასწარმეტყველებინო ის გრანდიოზული ნინიშენლობა, რაკ ამ ორი სივრცის ათვისებამ მისცა აღმინანს. მამსადადე, ჩვენი დღეს არ უნდა გვერდნეს იმის პრეტენზია, რომ სრულად მივიღოთ ანასები დასამულე კითხვაზე. მაგრამ ერთი თუ თავისებოდა ცხდია: აღმინანი, ისევე, როგორც ვერ დარჩა მარტო ხელოვნურ და დაიწყო ცურვა წყალში, შემდეგ კი ჰაერში ფრინა. ასევე, უდავოა, რომ ყოველთვის ვერ დარჩება მხოლოდ დედამიწაზე და, შემდეგ სივრცე, რომელიც მას უნდა აეთვისებინა, სწორედ კოსმოსი.

სიტყვა "კოსმოსი" ბერძნული წარმოშობისა და ნიშნავს მილიან სამყაროს. ყველაფერი, რაკ ჩვენი ვარშემოა, უსასრულო სივრცე, მასში მოთავსებული სხვადასხვა სახის ვანუსაზღვრული რაოდენობის ციური სხეულებით, — წარმოადგენს კოსმოსს.

თუ რას მისცემს აღმინანს კოსმოსის, უფრო სწორად, ჭერი კოსმოსის უახლოესი სივრცის — ჩვენი მზის სისტემის ათვისება, ეს იძღენად ვრცელი საკითხია, რომ ერთ შეირობში მისი ჩამოვლავი ცი ძნელია, მაგრამ თუ ხაილობრობე მინც ვისაუბრებთ იმაზე, უკვე დღისათვის რა მისცა აღმინანს კოსმოსის ათვისებამ, ეს ერთგვარ წარმოდგენას შეგიძლიათ მის სარგებლობაზე.

გავისენით, რომ დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება მიეძღვნა საერთაშორისო გეოლოგიურ წელს. სწორედ ამ პიროვლამ თანამგზავრებმა შესწავლეს უშუალოდ ატომოსფეროს მაღალი ფენები, რომლებზეც მამანდ არასრული წარმოდგენა გვექონდა.

თვით თანამგზავრის მოძრაობაზე დაკვირვებამ და მისმა შესწავლამ დააზუსტა დედამიწის ფორმა და სიდიდე. და ეს სამუშაო შესრულდა ვაცილებით უფრო ზუსტად, ვინც ეს უშუალოდ გაზომვებით იყო დადგენილი. აღმოჩნდა, რომ დედამიწა ოდნავ მახსობური ფორმა



საა — სამხრეთ პოლუსთან შეზენილია, ხოლო ჩრდილოეთ პოლუსთან ამოზენილი.

თანამგზავრების საშუალებით გაიზომა და შეიძლება შემდგომშიც გავზომოთ მანძილი დედამიწის ორ შორეულ წერტილს შორის ისეთი დიდი სიზუსტით, რაზეც გეოდეზისტებს ოცენებაც კი არ შეეძლოთ (თავი რომ დავახებოთ იმ უზარმაზარი ხარკებისა და დროის ეკონომიას, რასაც თანამგზავრი ვეაძლევს).

აღმოჩენილია მზის ქარი — ნაკადი მზიდან წამოასული კორპუსკულებისა — მატერიის განსაკუთრებული ნაწილაკებისა, რომელთა რაოდენობაზე და სიჩქარეზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ატმოსფეროს მრავალი მოვლენა და დედამიწის მაგნიტური ველის შემფეთება.


დედამიწის მახლობელი კოსმოსური სივრცის შესწავლის შედეგად იქნა აღმოჩენილი დედამიწის რადიაციული სარტყელი.

სტეციალურმა თანამგზავრებმა მკვეთრად გაზარდეს ამინდის პროგნოზის სიზუსტე, მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ვინაიდან ადამიანი არა მარტო იმაზე ოცენობს, რომ ზუსტად შესძლოს ამინდის წინასწარმეტყველება, არამედ იმაზეც, რომ მომავალში მისი მართვა შესძლოს. მართალია, ამინდის მართვის საკითხი ძალიან რთულია და მოკლე ხანში მის მილიანად გადაჭრას არ უნდა მოველოდეთ, მაგრამ სრულიად ცხადია, რომ ამ საკითხის გადაჭრა დედამიწის ატმოსფეროს გაერთ გაჭრის გარეშე შეუძლებელია. კოსმოსის ათვისება მხოლოდ ამას რომ ეძლეოდნენ, მაშინაც კი სრულიად გამართლებული იქნებოდა ყოველგვარი ხარკები, რასაც ამისათვის უწევიათ, იმდენად მნიშვნელოვანი და მომგებიანია ამინდის მართვის მიღწევა.

თქვეთვის ალბათ კარგად არის ცნობილი „მოდერნი“ სერვისის თანამგზავრების დანიშნულება. მათი საშუალებებით ხორციელდება შორეული სატელევიზიო კავშირები; ეს რომ არა, შორეულ აღმოსავლეთთან სატელევიზიო კავშირისათვის, დავეჭირებოდა მრავალი ათასი სარტკრანსლიტი სადგურის აშენება, რაც, ცხადია, დიდ დროსა და ხარკებს მოითხოვდა. დადგება დრო, როდესაც მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე და ადგილობრივ შესალებულ, როგორც ტელეკომუნიკაცებს, ასევე მიღებას, ამისათვის მხოლოდ სამი თანამგზავრია საჭირო.

კოსმოსური სხეულებიდან ყველაზე მეტად არის შესწავლილი ჩვენი ბუნებრივი თანამგზავრი მთვარე. ჯერ კიდევ 1959 წლის შემოდგომაზე ჩვენ გადავიღეთ მთვარის უკანა მხარე, რომელიც ადამიანს არასოდეს არ ეხება. ამჟამად მთვარის უხილავი მხარე მთლიანად გადაიღებულა, შედგენილია მისი შესაბამისი რუკა; დეტალურად დაარქვეს სახელები. მაგალითად, მთვარის ერთ-ერთი წარმონაქმნს, რომელიც ხილული და უხილავი მხარეების საზღვარზე მდებარეობს, დაარქვეს ჩვენი თანამემამულის, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორ-პროფესორის, აბასთუმის ასტროფიზიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი პირველი მეცნიერი თანამშრომლის, აწ განსვენებული მიხეილ ვაშაიშვილის სახელი, ცხადია, ასტრონომის დარჯიშ მისი დამსახურებისათვის.

რაც შეეხება მთვარის ხილულ ზედაპირს, მას ხომ ადამიანმა ფეხიც დაადგა, ჩამოატანა მთვარის ქანების ნიმუშები. სამტოვო ავტომატური სადგური „ლუნა-16“, რომელიც 1970 წ. 12 სექტემბერს გაუშვეს, რბილად დაჯდა მთვარეზე, აიღო მთვარის გარეუბრის ნიმუშები და 24 სექტემბერს დედამიწაზე დაბრუნდა. ამჟამად და 24 სექტემბერს დადის თვითმავალი აპარატი „ლუნახოლ-1“, რომელიც მთვარეზე შარშან, 17 ნოემბერს დაჯდა. იგი



დედამიწის ფიგურა, თანამგზავრებზე დაკვირვების შედეგების მიხედვით დიფუსიონთან (ბუნებრივ) შედარებით, რომლის შემთხვევაში ტოლია 4,2მმ,24-ს (მასშტაბი დაკული არ არის).

სწავლობს მთვარის რელიეფს, იღებს გრუნტის ნიმუშებს, უკეთებს მათ ქიმიურ და ფიზიკურ ანალიზს და შედეგებს დედამიწაზე გადმოიცემს. ამასთან, დაკვირვებებს ახდენს მზის კოსმოსურ გამოსხივებაზე. მასზე დადგებულია აგრეთვე ლაზერის სხივების არეკლავი სპეციალური სარკე, რომლითაც „ლუნახოლ-1“-ის მთლიანად გაჩერების შემდეგაც დიდი სიზუსტით გაიზომება მანძილი დედამიწასა და მთვარეს შორის. მას უკვე გაზომა ეს მანძილი ისეთივე სიზუსტით, როგორც, მაგალითად, ჩვენ რომ ერთი კილომეტრი გავზომოთ, 0,01 მმ სიზუსტით. არის თუ არა საჭირო ასეთი დიდი სიზუსტე? რასაკერაა, საჭიროა და კვლავაც უნდა გაიზომოს, ვინაიდან მანძილი დედამიწიდან მთვარემდე ცვალებადია.

საინტერესო შედეგებია მიღებული ჩვენი ზეობელი პლანეტის ვენერას შესახებ. ვენერა თავისი ზომით, მასით და საშუალო სიმკვრივით თითქმის დედამიწისაგანაა. მისი დამიგრტი მხოლოდ 320 კილომეტრით არის ნაკლები დედამიწისზე, მასა კი დედამიწის მასის 80%-ს შეადგენს. ვენერა თითქმის ორჯერ მეტ ნენერას იღებს მზიდან, ვიდრე დედამიწა, მაგრამ მისი მკვრივი დრუბის საფარიდან არეკლავს ორჯერ მეტია დედამიწისზე; ამიტომ მზის ენერჯის ნაკადი ვენერაზე თითქმის იგივეა, რაც დედამიწაზე და მაინც, ეს ორი პლანეტა მხოლოდ გარეგნულად ჰგავს ერთმანეთს. განსხვავება მათ შორის გაიცლებით უფრო მეტია, რაც დადასტურდა უკანასკნელი გამოკვლევის შედეგებით. ამიტომ უკვე დროა შემუშავებული გახდეს ის წარმოდგენა, თითქმის ვენერა დედამიწის „სტუპის ცალი“ იყოს.

ვენერას ზედაპირი არც ერთ ასტრონომს არ უნახავს, ვინაიდან მის ატმოსფეროში ყოველთვის იმყოფება სქელი ღრუბლების ფენა და ვენერას ზედაპირი მუდამ მიუწვდომელია დამკვირვებლისათვის.



ვენერას ატმოსფეროს პირდაპირი დაკვირვება დაიწყო 1967 წელს, ატმოსფერული სალაენტათოორისო სადგურის „ვენერა-4“-ის გაშვებით და გაგრძელდა 1969 წელს „ვენერა-5“ და „ვენერა-6“ სადგურებით.

ამ დაკვირვების უმთავრესი შედეგთაგანი ის არის, რომ უშუალოდ განისაზღვრა ვენერას ატმოსფეროს ქიმიურა, შემადგენლობა. აღმოჩნდა, რომ ვენერას ატმოსფერო თითქმის მთლიანად ნახშირორბენგა გაზისაგან შედგება (93-97%), აზოტის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2-3%-ს. ქანგბადი ვენერას ატმოსფეროში პრაქტიკულად არ არის.

„ვენერა-4“-მა, „ვენერა-5“-მა და „ვენერა-6“-მა სადგურებმა, ვენერას ატმოსფეროს შესახებ ინფორმაციის გადმოცემა დაიწყეს იმ დროს, როდესაც ტემპერატურა იყო +25° ცელსიუსით, წნევა კი დაახლოებით 0,9 ატმოსფერო. სადგურების პარამეტრები დაშვებისას ჩატარდა ზონდირება, მანამ, სანამ ტემპერატურა 325 გრადუსი არ გახდა, ხოლო წნევა — 27 ატმოსფერო.

ცხადი გახდა, რომ ასეთი მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში საჭირო იყო უფრო სრულყოფილი სადგურების შექმნა. მართლაც, შეიქმნა სადგური „ვენერა-7“, რომლის სიმტკიცე ისეთივე იყო, როგორც „ვენერა-7“, რომლის სიმტკიცე ისეთივე იყო, როგორც „ვენერა-7“, რომლის სიმტკიცე ისეთივე იყო, როგორც „ვენერა-7“.

„ვენერა-7“-მა მოახდინა ვენერას ატმოსფეროს ზონდირება 55 კმ სიმაღლიდან ძირს დაშვებამდე. მისმა რადიოსადგურმა, საერთოდ, აპარატურამ, დაშვების შემდეგ 22 წუთის განმავლობაში იმუშავა. „ვენერა-7“-ის გაზომვის შედეგს მეცნიერებისათვის უფროდამენტალური მნიშვნელობა აქვს. დაშვების ადგილას ტემპერატურა იყო  $474 \pm 20^\circ$  ცელსიუსით (ე. ი. გაზომვის სიზუსტე 20 გრადუსი იყო და რეალური ტემპერატურა შეიძლება  $20^\circ$ -ით მეტი ან ნაკლები იყოს  $474^\circ$ -ზე), წნევა  $90 \pm 15$  ატმოსფერო. ვენერას ზედაპირზე გაზის სიმკვრივე 60-ჯერ აღემატება ჩვენი ატმოსფეროს სიმკვრივეს დედამიწის ზედაპირზე და 17-ჯერ ნაკლებია წყლის სიმკვრივეზე.

ამჟამად ჩვენს ავტომატურ საპლანეტათოორისო სადგურებს „მარს-2“-სა და „მარს-3“-ს კურსი აღებული აქვთ მარსისაკენ, რომელიც ჩვენთვის ყველაზე საინტერესო პლანეტაა. ვარაუდობენ მარსზე მცენარეულობის არსებობას. ადვილი შესაძლებელია, ჩვენმა სადგურებმა ნაწილობრივ მაინც გასცენ პასუხი საინტერესო კითხვას: არის თუ არა სიცოცხლე მარსზე?

რა თქმა უნდა, ამ ერთ წერილში შეუძლებელი იყო კოსმოსის ათვისებაში მოპოვებული ყველა მიღწევის ჩამოთვლაც კი. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შევხვებით, მაგრამ აქედანაც ცხადი უნდა იყოს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოსმოსის ათვისებას. მომავალში კი ფრიად საინტერესო ფაქტების მოწმენი ვიქნებით, მით უმეტეს — თქვენ, ბავშვებო. მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ კოსმოსის ათვისება ფრიად რთული საქმეა, რომელსაც დიდი გამოცდილება, ცოდნა და ნებისყოფა სჭირდება. და, თუ გინდათ დაეუფლოთ კოსმოსს, ამისათვის ღრმად უნდა დაეუფლოთ მეცნიერებას, ბეჭთად უნდა ისწავლოთ და ქანობრიულობა გაიკაუთო.

მიორკი პირაკალია.

## მასწავლებელი

ძვირფასი სიტყვა — მასწავლებელი, სიტყვა — სინათლის მატარებელი. სხივების მფრქვევი, სითბოს მთოველი, მისით გაბრწყინდეს აზრი ყოველი! მასწავლებელი — აღმზრდელი ჩვენი, წყვილადის მტერი, რაინდი კველი! მისი ამაგი გვზრდის და გვახარებს; ცოდნას, სინათლეს, შრომას გვაყვარებს; მომავლისაკენ ის გზას გვიკაფავს, ხალხის სამსახურს გულში გვისახავს.

ყველა ნაყოფი, რაც კი გვახარებს, მისი ნღაფის ნიშნას ატარებს... ყრმაო, გიყვარდეს მასწავლებელი, მვეწნად სინათლის მატარებელი!

## ვალერიან ნაყუბია

ფიქრობს, ფიქრობს გოგო მარტო, გულში სევდა-ნაღველი აქვს, მინდორ-ველებს მზე არ ათბობს, ჩიტუნებიც არ მღერიან. ნანა ცეცხლთან მჯანბულა, ყვავილებზე სწყდება გული,

და ჰგონია, მზე ბაზუსს ღუმელში ჰყავს დამწყვდელი.

## ბ ა ვ შ უ მ ბ ა

სულ აღარ მოაქვს მზეს სისხლისე, და აკიაფდა თვალეში ცრემლი; ჩივის ბაზუა: ჰქინავს ისე, არ გაიყვდება ძაღლი გარეთო. ბუსართან შრება წუღები სველი, ქარი სისინით ეღება მთა-ველს, და აკიაფდა თვალეში ცრემლი. — დედა, გარეთ ვინ გაავდო მთვარე! სულხან აბაღლანი.



# ა ლ ი მ მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა

საქართველო  
2020-07-03

ქართულმა ხალხმა დრმა გულისკვირებით დაიბარა მისი დიდების დაუღალავი მომღერალი, გამორჩენილი პოეტი და სასოვალო მოღვაწე ალიო მირცხულავა (მაშაშვილი).

ალიო მირცხულავა იყო ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი პირველი მესპიძრეული და ერთგული აღამადარი. იგი, როგორც პოეტი, ახალი საქართულის დაბადებისთანავე იწვა და თავის პირველსვე ლექსში წწორღედ ახალ, რევოლუციურ რესპუბლიკას უმღერა მთელი მგზნებარებით, მთელი ვადაცებით.

სასიქადალო მგოსნის ნაღალი მოქალაქეობრივი პათოსით აღბეჭდილი ლექსები იმთავითვე ბრძოლისა თუ შრომის საგალობლად გაისმოდნენ და მკითხველთა მასებში უადრეს პოპულარობას იხვედნენ. მათ რეპორტიბა და მღეროდა ყველა, ვინც პირველი ხუთწლიელების პერიოდში დაწვებთან თუ ველ-მინდვრებში სტედათ თავისუფალ ცხოვრებას, ვინც ქართული კულტურის ფრონტზე თავდევდებით იბრძოდა ახლის დანერგვისა და გახარებისთვის.

სამშაულო ომის მრისხანე წლებში ალიო მირცხულავას პოეტური ხმა გამირულ სულსა და მტერზე გამარჯვების იმედს შთაბერავდა ჩვენს მამაც მებრძოლებს, რომლებთან ერთად, პოეტის თავისი კალმით ცეცხლის მოწინავე ხაზზე იდგა და ლექსების ნაღმით ზედებოდა მოხდურთა ურდოებს.

ალიო მირცხულავას მთელი შემოქმედება ტეშმარტი პატრიოტიზმის სამეგალიო ნიმუშია. მშობლიური მიწაწყობის, მშობელი ხალხის უსაზღვრო სიყვარული იყო სახელგანთავს მწერლის აღმფრინის მაცოცხლებელი, მარად დაუშრბოელი წყაროსთავალი. მისი პოეზია ერთი დიდი ზიზნია იმ ცისა და მიწისა, რომელთა მშვენივრით აღერთოვანებული ხმამაღლა, ამაყად გასძახოდა ქვეყნიერებას:

„ჩემი ქვეყანა, ეგრე ლამაზი, შავი ზღვის პირად აღმართულია, თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას, მისგან

დრუბლებიც დაფანტულია, ხან გაშლილია უფრო-უკეთად, ხან ვენახებით დახლართულია, მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი, ცა — ფიროსმანის დახატულია“. სამშობლოზე უფრო მეტად მე არავინ მყვარებიაო, — ამბობს პოეტი და ეს მართლაც რომ ასე იყო! ამიტომაც აღიარა სამშობლომ იგი თავის ერთ-ერთ რჩეულ მომღერლად და სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხა.

ჭერ კიდევ სიჭაბუკეში მოიპოვა ალიო მირცხულავამ კომკავშირის პოეტი-ტრიბუნის საამაყო სახელი. ახალგაზრდობა, კომკავშირი — მისი პოეზიის განუყრელი თანამგზავრია: „ვექმო, სიცოცხლის ხმა ვამაგონეთ, მეც თქვენთანა ვარ, ახალგაზრდობი! „თუმცე გამრისა თმამაშე ჭადარა, გული მაინც მაქვს კომკავშირული!... ახალგაზრდობის უდრმესი რწმენით არის ახმოვანებული საოცარი ენერგიით დამუხტული ლექსი „დამკვრელი ბრიგადები“, რომელიც აგერ, ოთხი ათეული წლის შემდეგაც პირვანდელი ძალით იხმურება ჩვენი ქვეყნის შრომის-მოყვარე ჭახუებიცა და ქალიშვილების საუკეთესო მისწრაფებებს.

განსაკუთრებული სიყვარულითა და რუდუნებით წერდა ალიო მირცხულავა ბავშვებისათვის — პიონერებისათუ ოტომბრეტებისათვის. ნორჩი თაობისადმი ამ სიყვარულის გამოხატულება ისიც იყო, რომ იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საყმაწვილო შურნად „პიონერის“ სარედაქციო მუშაობას. ეს ის დრო გახლდათ, როცა „პიონერი“ ახალი ფენადგმული იყო — თავისი არსებობის სულ რაღაც რამდენიმე წლის ითვლიდა და ხმა მეტად სათითო, მზრუნველი ხელი სჭირდებოდა. როგორც რედაქტორმა, ალიო მირცხულავამ დიდი წვლილი გაიღო ამ შურნადის ფართო გზაზე დასაყენებლად, მოზარდ მკითხველთა შორის მისი მეტე და მეტი პოპულარობისათვის. ამასთანავე ერთად, პოეტმა თავის ნორჩ მებრძობებს უფლება მრავალი შესანიშნავი ლექსი, რომელშიც შიაც მათ შთაგანებდა სამშობლოს, დედაენის, ადამიანების, შრომის, ცოდნის სიყვარულს. ასწავლიდა, რომ „იწივი შრომის დროს აგურთა და მტერთან ბრძოლის დროს არის ყუმილაც“, რომ „გვიხაროდეს მეგობრის გარდა, ვით შენი გარდა-ვაფუთარქველობა“...

ალიო მირცხულავას საყმაწვილო ლექსებზე წერილია სიმღერებაც მუდამ თან ახლდათ და თან ახლდათ ჩვენს პიონერ-მოსწავლეებს სწავლისა თუ შრომის დროს, ლაშქრობებსა თუ ხანჯლებში ყოფნისას. ბევრი ლექსი გამოყვენიებისთანავე დამკვიდრდა სასკოლო სახელმძღვანელოებში. ისინი, ეს ლექსები, ნორჩ თაობებზე ზრდიან ნამდვილ მამულიშვილებად, ადამიანის, სიკეთის ქომადნად...

ღვაწლმოსილი მგოსანი სიცოცხლის ბოლომდე ბავშვების გულთბილ მეგობრად დარჩა. იგი მუდამ სიამოვნებით ასრულებდა შურნად „პიონერის“ შემოქმედებით კოლექტივის ამა თუ იმ თხოვნას, თავისი კეთილი რჩევებით დაუზარებლად ეხმარებოდა მას.

ნახევარი საუკუნე ქედმოზრბლად ზიდა ალიო მირცხულავამ პოეზიის მიმიე ტვირით და მშობელ ერს დაუტოვა არაერთი ლირიკული შედეგები, რომლებიც ყოველთვის ირედავრებენ ქართული ლექსის სავანურში.

# გუნევი

ხათ? დამეგვიგინენ მაგარი გაცაკები, გარდიგარდმოდ კეტები დამატრეს, აქეთ-იქიდან მსრებით შემოიგებენ... გავაში მალი-მალ ერთმანეთს ვნაცვლებდოდნენ. ეპ, რაც იმათ ჯაფა დააღვამა! რის ვაი-ვაგლახით სახარო გსამდე გაგადწიეთ... იქიდან კი ხარები შემიბეს, თრევა-თრევიტ შინ მომიტანეს... აბა, ახლა უნდა გენახათ, როგორ გამოიჩვენა ოსტატები! გამწმინდა, გამაპოტავა, სარქესავით გამაგრიალა... ბოლოს თავებიც ჩამისხა, თანგებოდა და სილვებით გამიმავრა...

ჩემი ძველი პატრონისაგან ხშირად გამიგონია: ამოდენა საწინახელი სოფელში მეორე არ მიგულებო. ჰაი, დედას! ოცი გოდორი ყურძენი ძლიეს მავსებდა... შედგებოდნენ ყურძენზე მწურავები, გადი-გამოდოდნენ, თან სიმღერას აუბამდნენ...

ტყბილი რომ გამოდგავდებოდა ინდურიდან, მეც იქვე დაგვდებოდი, ზედ დამედინებოდა, მიწანწკარბებდა ნება-ნება ქვევრებში... ჩამოართვა სიტყვა საწინახელს ხის ღარმა. ის საწინახლის უკან იყო მივდებული, დიდი ხნის უხმარს, დამტყვევრის, აქა-იქ აბლაბუდაც მოსდებოდა...

— ხმა ჩაიწყვიტე! ისედაც დიდიდან შენი შხულით ყურთასმენაა წადლებული... — დაუტია მას კედლის გასწვრივ გაწოლილმა ცაცხვის საწინახელმა, რომელიც პირთამდე სიმინდის ტაროებით გემესსო.

— ნეტავ, ჩვენ რას გვემართლებს?! თითქოს ჩვენ გარეთ იყოს გაუქმებული! — გადაუკლარაბა სარქეს იქვე კუთხეში მიყუდებულმა ხაპირმა. ორხელიანი გოგონის ხაპირით წელიან ქვევრიდან ნარეცხი წელი ამოაქციეს. ის ჯერაც წყლით იყო გაწურული.

— ოღონდაც, — კვერი დაუკრა გრძელტარინამა მაწაწურმა, რომელითაც ეს-ის არის ქვევრი ამომშრალეს.

— ოღონდაც, — ამოიძახა მიწის სიღრმიდან ქვევრმა.

— ამ ამოფუღურობებულ მოოს არ უყურებთ, კიდევ რომ დიდებულებს! მადლობელი იყოს, აკატრობას რომ არ მოაშორეს, — ჩაიქირქილა საწურავმა, იქვე, საწინახლის გვერდით, ხის სკამზე ამაყად წამოჭიმულმა.

— ერთი ამას დამიხედეთ! დიდი ხანია მარანში შემოდგი ფხვი და მარაქაში გაერიე? — მკვასედ მიახალა საწინახელმა თავის საშუაველ მტერს. მას შებდევ, რაც მარანში რკინის მანქანა გამოჩნდა, საწინახელში ყურძენს აღარ წურავდნენ და მას სხვადასხვა ჭირნახელის შესანასაღა იყენებდნენ.

— რა? ამოფუღურობებული მორიო?! — გაკაპასდა საწინახელი. — აბა, თვალები კარგად მოიფხვინებ, იქნებ ჩემს გათლილ-გამოყვანილ გვერდებსა სწუნობ?! უხეიროდ გამოჩორკნილი არ გვეოთ, ძველი ოსტატის მადლიანი ხელითა გარ გათლილი... ეპ, რამდენი ხნის ამბავია, მაგრამ ისე მანსოფს, თითქოს გუშინ იყო... მწვარეში ვიწარდებოდი, ამოტყბილი მთელ ტყეს ზემოდან გადავცქეროდი, ორი კაცის ტანზე მკლავებს ვერ შემომავფენდ... ათას ხეში მე გამომარჩიეს. ბევერი ოფლი დაიღვარა ჩემს მოჭრავზე, რის ყოფით წამომამქციეს მიწაზე, გამზომეს და გამოზომეს, გული ამომიღეს, გარედანაც გამოთალეს, სულ ღარივი გამომიყვანეს. მერე ტყეში დამიტოვეს პირქვე დამხობილი. ქარმა და ყინვამ ტანში დამიარა, გამომაშრო, გამამატა... ახლა ტყიდან ჩემს გამოტანას არ იკით-



მოთხრობა

— უპ, ძლივს არ მოვიტყვი სული?! — აღმოხდა ქანცმიღვეულ სარქეს. მას მთელი დღე ქვევრს ასეხინებდნენ. ვეება ჭურჭლის რეცხვაში გვერდები შემოსცვეთოდ.

უკვე რამდენიმე დღე იყო, მარანში სართლო სამზადისი გაერქდებინათ. ალაგებდნენ იქაურობას, რეცხავდნენ, ასუფთავებდნენ.

— ხურობა ხომ არ არის ხუთსაპალიანი ქვევრის გაწვრიალება! — თქვა სარქესმა კმაყოფილებით.



— თქვენ რა გენაღვლებოდათ მწუ-  
რავეთის ჭაბან-წყვეტა, — ჩაილაპარაკა  
საწურავემა მანქანამ.

— ეჰ, აბა ახლა რილას მაქნისი ვარ,  
დღეს თუ სვალ აქურობას მიმაშორე-  
ბენ. — დაიწუნუნა ღარმა.

— განა მე კი კარგი დღე მაღვას?! —  
გაღმოსახა კანასზე ჩამოიდგებულმა  
წინლის ხელკალათმა. — რამდენი ხა-  
ნია ვენახში განავარდნა აღარ მღირ-  
სებია. დაანახარუნებენ რთველში რკინის  
ვედროებს... ეგ გვიჩვენია საკრფვა-  
ლო — არც წვეთი გასდის, არც მარცვა-  
ლი გვეკარგება და არც ყურძენი იქლუ-  
ბათ. მე თუ მკითხავთ, ეხარებათ კალა-  
თების წვენა და ეგ არის.

— ვაი დიდასა! — შევხიანა თახჩი-  
ლი ძველებური სასხლავი, დიდი ხნის  
უქმად გდენისაგან ჩაქანებული. —  
განა მეც ამიტომ არ გამცავლეს ამ დღე-  
რიცელ ვაზის მაკრატელი?! სასხლა-  
ვად უფრო მარჯვეათ, იმას კი აღარ და-



გიდევენ, ლერწი რომ იქლუბა სხვლა-  
ში...

— ჰაი, გიდი! სადღა აქეთ ჩვენი  
ყადრი, — დაირიგლა მის გვერდით ყე-  
ლიანმა ვოგრის ძაბრმა. — აბა, მე რი-  
დისღა მიკარებენ ღვინის გადაღებაში?!  
რკინის ძაბრებსა და საწურავეებს დაუდ-  
გათ დღე...

„ერთი ვერ მიმხვდარან, ამათი დრო  
რომ წავიდა“. — გაიფიქრა ახალთ-  
ახალმა სპილენძის საწურმა, რომელსაც  
სულ ლაღაპი გაქაქინდა.

— ახ, ერთი ჩემი ძველი პატრონი

გააცოცხლა და აქ შემოიხადე... მარა-  
ნი მარანს რომ აღარა ჰკავს, — ცკვალ  
აბუსუნუნდა საწნახელი, — რა არა შე-  
მოგვიყარეს აქ... დაისომით ჩემი  
სიტყვა! — ე მანდ გე გაბღენძლი  
ღვინის კასრი რომ შეთოვარეს, იცი-  
დით, კარგ დღეს არ დაყარის ქვე-  
რებს...

— ღმერთმა ნუ მოგვასწორს! — ელ-  
დანაყარავით წამოიძახა სარცხმა.

— უწინამე წყალსაც წავუალი! — მი-  
აწყველა ხაბარმა.

— ვაი ჩვენს დღეს! — შეიცხდა  
ქვევრიდან ღვინის ამოსაღებმა სპილენ-  
ძის ხელჩაფამ, თან ყელთან შემბული  
გრძელი ხის ტარი შეაძრია.

— ვაი! — იგი მძლავრად ამოვიგმი-  
ნა ქვევრმა, რომ პირზე დაყარებული  
სიბი პივის სარქველი მიღლა შესტუნა.

— ერთი თქვენცა, თავი ამატკივეთ  
ამდენი წუწუნით! — წყრომით წამოი-  
ძახა ტიკტორამ, რომელიც ხანგრძლივი  
ხმარებისაგან საკმაოდ შეღანძლილიყო:  
აქა-იქ ტყავი გასცვეთიდა, ხის მასრა-  
პოლორტიც მორყეოდა.

„თქვენ იეთხეთ, თორემ მე მუდამ  
გამოვდები“, — ფიქრობდა თიხის  
ღოქი.

— არა, მე და ჩემმა ღმერთმა, მარა-  
ნი მარანს აღარა ჰკავს, — არ იშლიდა  
თავისას საწნახელი...

— ეჰ, რა ქვიფებს მოესწრებივარ ამ  
მარანში! — გააწყვეტინა სიტყვა ტიკ-  
ტორამ, — რა დროსტარება იყოდენი!  
ჭირახული აღებული და დაბინავებუ-  
ლი, ქვევრზე პირთამდე ღვინით სავსე-  
ჭამე და სვი! კარეთ თოვლი ბარდნის,  
მუნხარში კი ცეცხლი გაუზუტებს... გა-  
იწორობდა სუფრა, მოაყრიდნენ საჭ-  
მელს ოხრად, აბა, მოზრძანდით, სველ-  
სველი დოქებო და გოზაურეთ, ხელა-  
დებო და ჩაფურქო!

— კიდევ ვასოვარ ვისმეს? — გა-  
მოერგა მარნის კუთხის მიდებელი  
ყვლითგებელი გოზაური.

— ჰეი, მერქიფვე, ჩამოსახი დვი-  
ნი — ასწია გალიციცივებული ჯამი  
თამადამ, „თქმა იყოს და გაგონება“  
გადააქრა სულუქვევრად ღვინო, „ასე  
მტერი დაგვეცოცხლოს!“ ახლა სხვას გადა-  
ულავდა ღვინიანი ზაღია. სვამდნენ, გა-  
დადიოდნენ ალავერდსა. ჰაი დიდასა,  
რა ჯამების ტრიალი იყო!

— შენ გაიხარე! — აწკარუნდნენ  
განჯანში თიხის ჯამები.

— გახურებოდა სმა, გაძლიერდ-  
ებოდა ღრეობა... ახლა ჯიხვები ჩამოიფ-  
ლიდა სუფრასზე...

— ვაი ბიჭობა უნდოდა ჩვენს გა-  
მოცლას! — ჩაურთო თიხის ჩაფურამ.

— ისეთ სუფრულს შემოსძახებდნენ,  
მარანს ზანზარი გაქაქინდა... რა სჯო-  
ბია ჭეჭვასა და ლხენასა! — შეძახა ემ-



სმი შესულმა ტიკტორამ და ცმეცა-ცმე-  
ვით დაუარა.

მარანში ქრიაშული ატყდა. ტიკტორა  
ბუქნას უგლიდა, დანარჩენებზე მხიარუ-  
ლად ექმუებოდნენ...

— კიდევ მოვა ჩვენი დრო! — ომა-  
ხიანად შესძახა ტიკტორამ.

— მოვა, მოვა! —  
— მოვიშორებთ თავიდან ამ დაუპა-  
ტიებელ სტუმრებს!

— აბა, დიაკარეთ აქედან!  
— წინ წყალი, უკან მეწყერი!

„ნეტავ რამ გადარია, რა თავი იწი-  
ვებოდა ამ ძველმეუბნებაში!“ — ჰკვი-  
რობდა გაღვნილი საწურავი მანქანა.

— აჰ, ნეტავ ერთი ღვინით ყელი გა-  
მასველებინა! — ნატრობდა მარნის კე-  
დელს მისვენებული ქანცმიღული ტიკ-  
ტორა.

მარანში კი ქრიაშული არ ცხრებო-  
და. მხოლოდ ახლები იყვნენ გასუსუ-  
ლები.

— მიშველით! მომეცა ამ საოხრ  
თავმა! — აყვირდა უცერად ტიკტორა.

— დივითი! დივითი! — გაისმა შე-  
ძახილები.

— დამანახვეთ, ერთი სული გაგაფ-  
რთსობინო! — დაიძახა თავიშობდა  
თიხის საგლესმა.

დაფრთხალი თავი აქეთ ეცა, იქით  
ეცა, ბოლოს საწნახლის ქვეშ შეფარა  
თავი.

— ამ სატიალემ ლამის მუცელი არ  
გამომღარა! — ჰაქანებდა ნირწამხ-  
დარი ტიკტორა.

— დახე! წურუნუნაც რომ გაგვითა-  
მამდა!

— ერთხელაც იქნება მოვიგდებთ  
ხელში! მაგაზე მაინც ვიყითი ჯაგრს!

კიდევ დიდხანს ქოქოთებდნენ მარ-  
ნის ბინადარნი. ბოლოს, როგორც ექ-  
ნა, ჩამოვარდა მეუღრობა. მხოლოდ  
კანტი-კუტავდ მისიმიდა თავის ფხა-  
ვანს. — საწნახლის ქვეშ შემცხრალი  
წურუნუნა არცხიდა შეეცვალა სიმინდს.  
მარნის სარკლებში კი უკვე შემოდ-  
გომის დილა იჭყიტებოდა.

მოსწავლეთა



შეერთდეთ

ნადაურა  
კურკენაძის  
ხსოვნას



კლდედ აღიმართე მედგარი,  
წიგანში დაღეძე დარაჯად,  
თუმც ბრძოლის ველზე არ იყავ  
და არ გცმევია ფარაჯა,  
მაგრამ გმირობა შესძელი,  
მტკიცედ შემართე მარჯვენა,  
მტერს შეუტეე მგზნებარედ  
მოძმეთა გადასარჩენად.  
გმირად გაწრიდი გმირადვე  
თუ ჩვენგან უცებ წახვედი,  
შენს მარადიულ სავანეს  
არ დაეღვეა მნახველი!

გიდეა ლუკაშა,  
სოხუმის მე-6 საშუალო სკოლის VIII  
კლასის მოსწავლე. რესპუბლიკური სა-  
ბავშვო ბიბლიოთეკის ხელნაწერი უფრ-  
ნალი „გაზაფხული“.




ჩ ვ ი ნ  
ვ ხ ი დ ა ვ თ  
მ წ ა ს .



განა  
ორჯონიძემ,  
თბილისის  
28-ე საშუალო  
სკოლის  
V კლასის  
მოსწავლე.

ბარძია.

სლაბა  
ჯაბილი,  
თბილისის  
66-ე  
საშ. სკოლის  
IV კლასი.



## ნატოს ველი, ნატოს წყარო

ბაკურიანში ერთ მწვანე მინდორს ნატოს ველს ეძახიან. ამ ველზე ერთი პატარა წყარო გადმოდის, რომელსაც აგრეთვე ნატოს წყარო ჰქვია. რატომ ჰქვიათ მათ ეს სახელები? — ამ კითხვაზე ვერავინ გამცა პასუხი და, მე კი, აი, ასე წარმოვიდგინე.

პატარა ნატოს, როგორც ყველას, უყვარდა მწვანე ველი, აქ კრფოდა ის ლამაზ ყვავილებს, წნავდა გვირგვინებს და დასდევდა ჭრელ პეკლებს. თუ დაიდლებოდა, ბალახებში გაინაბებოდა და შეჭხაროდა სიცოცხლეს. დედის ძახილზე უმალ წამოხტებოდა ხოლმე და ხტუნვა-ხტუნვით მიეგებებოდა. ჩავევრებოდა, ჩააკოცნიდა და კამაყოფილი შინისაკენ ერთად გასწევდნენ.

იმ სასწარელ დღესაც ნატომ მზიარულად მოიბრინა მწვანე ველი. ოცნებაში გადასული სიოს ჩურჩულმა გამოარკვია. შემერთალმა გვერდზე გაიხედა, შეანახდინა ლანდებმა თვალწინ გაუეღვა და სადღაც წარიტაცა. მწვანე ველზე ნატოს ჭრელ მანდის აფრიალებდა ქარი... გოგონა კი ოსმალეთისაკენ მიჰყავდათ თურქებს.

— ნატო, ნატო! — ამაოდ ეძახდა მწვანე ველზე დედა გოგონას, მერე ჩამოჯდებოდა და ცრემლად იღვრებოდა... ცრემლები დაეებდა, დაეებდა და ერთ მშვენიერ დღეს წყაროდ იშვა! აი, ამიტომ ეძახიან ამ მწვანე მინდორს ნატოს ველს და წყაროს კი — ნატოს წყაროს.

წითელარმითი.

კომე რუხაძე,  
თბილისის 66-ე საშ. სკოლის  
IV კლასის მოსწავლე.



ღინან ობოლაძე,

გალის შ. რუსთაველის სახელობის I-ლი საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე. რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკის ხელნაწერი ჟურნალი „გაზაფხული“.



ვარდ-ყვავილების სუნით გაქედნილი მაისის შუა რიცხვები იდგა. მწვანე ქათიბით მოსილი არაგვისპირები საპატარძლოდ მორთულიყვნენ. საქართველოს სამხედრო გზით მიმქროლავი ავტობუსის გამაყრუებელი ხმა დაუდგარი არაგვის გუგუნს უერთდებოდა და სადღაც შორს, კლდოვანი მთების ორწოხებში ინთქმებოდა.

ის-ის იყო გავიქროლეთ მღვთის პატარა ხიდი და შეეუღლებით ჯვრის უღელტეხილის შედმართს, რომ ცა ღრუბლებით გაიჭედა, ხეობამ შუბლი შეიკრა, მთებმა შავი თავშლები მოიხიფეს. ციფმა ნიაფმა საიდანღაც ნაცრისფერი ნისლები მოათრია და არაგვის ხეობას გადააფარა.

მგზავრებით გაჭედილი მანქანა ძლივ-ძლივობით მიიწედა წინ.

ის იყო უკანასკნელი მოსახვევი უნდა დაგვეძლია, რომ მოულოდნელმა თოვლმა და ქარმა მანქანის შუშებით გათოშა და ზედ ყინულის ნახატები გამოიყვანა.


მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა. გაიღო ავტო-

ბუსის წინა კარი და ცნობისმოყვარეობით გარეთ გამოვიშალეთ. ჩვენს წინ მანქანების მთელი კოლონა გამწყრივებულიყო და საყვლოაწეული მგზავრები წინ და უკან დაბაკუნებდნენ. უცებ ცხვრის გაბმული ბლავილი მოგვესმა. ფარა საზაფხულო საძოვრებისაკენ მიემართებოდა, მაგრამ ქარმა და თოვლმა ამათაც გადაუღობა გზა. საცოდავი ბატკნები მანქანების ქვეშ ძვრებოდნენ გასათობადა.

ბრვე, ვაჟაკური იერის მქონე მესვარეები ლომებოვით ტრიალებდნენ, ქვეყნის დოვლას დაღუპვისაგან იფარადნენ... როგორც მთას სჩრევია, მალე ცამ ისევ მოიწმინდა პირი, ნისლი აიკრიფა და მზემ თავისი უხვი სხივები მძივებოვით გაღმოგაყარა: — გზა ხსნილია, მშვიდობის მგზავრობას გისურვებთ!

თამაზ წიკლაური,


ქ. ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.



ქ მ ს მ ს ი.

მონა  
ზაბაფილი,  
ქალაქ  
ორჯონიკიძის  
ქართული  
სკოლის  
VII  
კლასის  
მოსწავლე.

პანტომიმები  
 ბ. მალაოვლინი  
 თბილისი  
 85-ე საშ. სკოლის  
 III კლასი.



**შეპროდუქციის სკოლი**  
 იერონიმი  
 გელაძე

ბინდი დასდგომით მთებს,  
 ნისლით იბურავენ პირს,  
 თვალი დახუჭავს მზეს,  
 მთელი დღეებია წვიმს.

ირგვლე ყველაფერი დუმს,  
 მხოლოდ ხეებს ნელა ჰპრის  
 ქარი, არ იტყუავს გულს,  
 მანიც აღმა-დაღმა წვიმს.

ღრუბლებს დაუფარავს შავს,  
 ცაზე სამყოფელი მზის,  
 აღარ გადაიღრ, კვლავ  
 წვიმს, წვიმს, წვიმს.

ლალი ზიზანაშვილი,  
 თელავის რ-ნის სოფ. იეალოის  
 საშუალო სკოლის X კლასის  
 მოსწავლე.

**ჩიკაპი. სისარული**

გაზაფხულის მშვენიერი დღე იყო. მაგრამ ნა-  
 შუადღეზე, უცებ, ღურჯაი და შავმა ღრუბლებმა  
 დაფარა. მზე მიიმაღა. ცოტაც და წამოუშინა სე-  
 ტყვამ. ფრინველებმა და ცხოველებმა თავიანთ  
 სამაღალებს მიაშურეს.

სამარლო სამფერა იამ კი რით უშველოს თავს?  
 ის ხომ ვერსად ვერ გაეცემა სეტყვას!  
 ქარმა ხეს ტოტი მოსტეხა და კინაღამ სამფე-  
 რას დაეცა. პოი, როგორ შეეშინდა საცოდავს!

უეცრად, თავის ახლოს აწრიალებულ ჭიან-  
 ჭველას მოჰქარა თვალი. იას ჭიანჭველა ძა-  
 ლიან შეეცოდა და თავისი სამფეროვანი ფოთ-  
 ლები გადააფარა. ამასობაში მიწაზე დახვავებულ-  
 მა სეტყვამ დნობა იწყო, გაჩნდა დვარები. დვარ-  
 რის ერთი პატარა ტოტი სამფერა იასაც მისწე-  
 და და ფესვები გაუშვილა. ძლივსღა იდგა ფეხ-  
 ზე. იას ცარებლები გადმოუგორდა, მწარად ატირ-  
 და.

როგორც იქნა, სეტყვამ იკლო, შემდეგ კი სულ  
 შეწყდა. დვარებიც დაიწრიტა.

გადარჩა, გადარჩა სამფერა ია! როგორ უხარია  
 საცოდავს, მაგრამ თავს ძლივსღა იზარებს. ძირს  
 რომ დაიხედა, ჭიანჭველა აღარსად ჩანდა. „ნუთუ  
 ისე წავიდა, არც დამემშვიდობა?“ — გული  
 მტკინა იას.

ცოტა ხნის შემდეგ სამფერა იას ჭიანჭველების  
 მთელი რაზმი მოადგა. მათი თანამოძმის გადარ-  
 ჩენისათვის მადლობა უძღვნეს და მიწის მიწელი  
 გროვა მოხიდეს მის მიშველ ფესვებზე დასაყრე-  
 ლად.

